სტუმართა უპირატესობით

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 7 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ჰამბურგი” (ჰამბურგი) 2:3 (2:2).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

“ჰამბურგი”: კარგუსი, კალტცი, ჰიდენი, ბულიანი, ნოგლი, იაკობსი, კიგანი, ჰარტვიგი, ჰრუხეში, მაგათი, რაიმანი.

მსაჯი: ა. პონეტი (ბელგია).

გოლები: გუცაევი (მე–5 წ.), კიგანი (34), ჰრუბეში (43), ყიფიანი (45), ბულიანი (56).

მატჩი თბილისელთა იერიშებით დაიწყო. მე–5 წუთზე გუცაევმა მოატყუა მეტოქის რამდენიმე მცველი, შეიჭრა საჯარიმოში, დაარტყა. ძელიდან ასხლეტილი ბურთი “ჰამბურგის” კარში აღმოჩნდა – 1:0.

ორბურთიან უპირატესობას აშკარა საფრთხე შეექმნა და სტუმრები უფრო გააქტიურდნენ: თამაში გათანაბრდა. 30–ე წუთზე კი გაბელიას კართან პირველი საგოლე მომენტიც შეიქმნა – მაგათის ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი თბილისელებმა კუთხურზე მოიგერიეს. ოთხი წუთის შემდეგ კოგანმა 10–12 მეტრიდან ანგარიში გაქვითა 1:1.

ტაიმის დამთავრებამდე ჯერ ჰრუბეშმა, შემდეგ კი ყიფიანმა თითო გოლი გაიტანეს.

თამაშის მეორე ნახევარში უპირატესობას სტუმრები ფლობენ. 56–ე წუთზე მცველმა ბულიანმა მასპინძელთა კარში მესამე ბურთი გაიტანა, რამაც სტუმრებს გამარჯვება მოუტანა – 3:2. ამრიგად, ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში ითამაშებს “ჰამბურგი”, რომელმაც, უნდა ითქვას, დამსახურებულად მოიპოვა ეს უფლება.

“ლელო”, 8 ნოემბერი, 1979 წ.